საქართველოს კანონი

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.10.2019, სარეგისტრაციო კოდი: 080090020.05.001.019627) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ყველა ფიზიკური პირი და იურიდიული პირი ვალდებულია შეასრულოს ამ კანონის 41-ე მუხლის მოთხოვნები გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი გაეროს სანქციების კომიტეტის მიერ და გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის საფუძველზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) მიერ სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანილი პირების მიმართ.“.

2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^2 პუნქტი:

„7^2. ანგარიშვალდებულმა პირმა ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშგებაში უნდა მიუთითოს იმ აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებზედაც შეზღუდვა დააწესა.“.

3. 25-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით შეიძლება განისაზღვროს ანგარიშვალდებული პირის მიერ სამსახურისთვის ანგარიშგების ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარდგენის ვალდებულება.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას გარიგების ან გარიგების მონაწილე პირის (პირების) შესახებ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია (დოკუმენტი), აგრეთვე სხვა ინფორმაცია (დოკუმენტი), მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც სამსახურს ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროება. ანგარიშვალდებული პირის მიერ სამსახურისთვის ინფორმაციის (დოკუმენტის) წარდგენის ფორმა განისაზღვრება სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

4. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ კანონის 43^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენასა და აღკვეთას.“.

5. 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. სამსახური უფლებამოსილია ამ კანონის 43^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოსავლენად ნებისმიერი ფიზიკური პირისგან ან იურიდიული

პირისგან გამოითხოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები).

1^2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გამოიტანოს დადგენილება ფიზიკური პირისთვის ან იურიდიული პირისთვის ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.“.

6. მე-40 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამთავრობო კომისია არის გაეროს სანქციების კომიტეტისა და სხვა სტრუქტურებისთვის მთავარი საკონტაქტო ორგანო საქართველოში ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ამ თავით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას.“.

7. 41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7–მე-9 პუნქტები:

„7. ყველა ფიზიკური პირი და იურიდიული პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე სანქციადაკისრებული პირისთვის დაუყოვნებლივ, წინასწარი შეტყობინების გარეშე არ გახადოს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები ან სხვა ქონება. სანქციადაკისრებული პირისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები, ეკონომიკური რესურსი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, განკარგავს ან აკონტროლებს ეს პირი ან მისი სახელით ან დავალებით მოქმედი პირი, გარდა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით დაწესებული გამონაკლისისა, აგრეთვე ფინანსური მომსახურება და სხვა, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

8. ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით აცნობებს სამსახურს.

9. ყველა ფიზიკური პირი და იურიდიული პირი ვალდებულია სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე მიაწოდოს მას დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სამსახურის მიერ ამ კანონის 35-ე მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.“.

8. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის X^1 თავი:

„თავი X^1

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლი 43^1. ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ ამავე კანონის 41-ე მუხლის მე-7 პუნქტით ან/და მე-9 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის გაფრთხილებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისთვის ფიზიკურ პირში ან იურიდიულ პირში არ იგულისხმება ამ კანონის

მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირი.

მუხლი 43[2]. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სამსახურის უფროსის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს ადებს სამსახურის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმები.

4. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შესადგენი დოკუმენტების ფორმებს, მათი წარმოებისა და ჩაბარების წესსა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

მუხლი 43[3]. სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

პირი უფლებამოსილია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2026 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს:

ა) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შესადგენი დოკუმენტების ფორმების, მათი წარმოებისა და ჩაბარების წესისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის დამტკიცება;

ბ) სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

26 ნოემბერი 2025 წ.

N1119-IVმს-XIმპ